შერჩევის სისტემის გაუმჯობესება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამისთვის

სანდრო გიგაური, ბექა მარგიანი, გვანცა კვარაცხელია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტზე, უმაღლესი განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაკა კორძაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

მადლობა

გვინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ ჩვენს აკადემიურ ხელმძღვანელს, ქალბატონ მაკა კორძაძეს, ნაშრომზე მუშაობისას გაწეული დამარებისთვის.

აგრეთვე განსაკუთრებული მადლობა კვლევაში ჩართულ აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს, რომლებმაც, დროის სიმწირის მიუხედავად, მოახერხეს შეხვედრებზე დასწრება და ჩვენთვის ძალიან ღირებული უკუკავშირის მოცემა.

ასევე განსაკუთრებული მადლობა მიხეილ გიორგაძეს ინტერვენციების განხორციელებისა და შეფასების ეტაპზე გაწული მნიშვნელოვანი დახმარებისთვის.

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაქვეყნებლად გამზადებულ ან დასაცავად წარსადგენ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სანდრო გიგაური

ბექა მარგიანი

გვანცა კვარაცხელია

17.06.2023

აბსტრაქტი

წინამდებარე პრაქტიკის კვლევა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე შერჩევის პროცესის გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად. არსებული მოდელის სიღრმისეულად შესასწავლად, განხორციელდა დიაგნოსტიკური კვლევა, რაც მონაცემთა შეგროვების როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ მეთოდებს ეყრდნობოდა და სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალთან კითხვარებისა და ფოკუსჯგუფების ფორმა ჰქონდა. კვლევამ ცხადყო, რომ შერჩევის სისტემა საჭიროებდა უნიფიცირებულ, ინსტიტუციურ ჩარჩოს, რომელიც დაეხმარებოდა როგორც პოტენციურ აპლიკანტებს, პროგრამის სპეციფიკის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიღებაში, ისე შერჩევის პროცესში ჩართულ აკადემიურ პერსონალს პროცესის ეფექტიანად წარმართვასა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფაში.

შედეგად, დიაგნოსტიკური კვლევის მიგნებების საფუძველზე ორი ძირითადი ინტერვენცია შემუშავდა და განხორციელდა. პირველი ინტერვენციის ფარგლებში მოხდა შერჩევის კრიტერიუმებისა და მათი შეფასების რუბრიკების ჰარმონიზაცია, რაც კრიტერიუმების აღქმაში ბუნდოვანების აღმოფხვრასა და მათ საზიარო მნიშვნელობაზე შეჯერებას გულისხმობდა. მეორე ინტერვენციის ფარგლებში მოხდა სტუდენტებისთვის სპეციალური გზამკვლევების (წერილობითი და ვიზუალური) შემუშავება, რომელიც მათ მკაფიო და დეტალურ ინფორმაციას მიაწვდიდა შერჩევის პროცესის, პროგრამის მიზნებისა და ძირითადი კომპონენტების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: შერჩევის სისტემა; მიღების კრიტერიუმები; შერჩევის ჰოლისტური მოდელი; რუბრიკები; გზამკვლევი სტუდენტებისთვის.

Abstract

The following action research was aimed at improving the selection process for the Master's Program in Education Administration at Ilia State University. At the initial stage of the research, a diagnostic study was carried out, which relied on both quantitative and qualitative methods of data collection and was conducted in the form of questionnaires and focus groups with students and academic staff. The diagnostic study revealed that the selection system needed a unified, institutional framework that in addition to helping potential applicants in getting comprehensive information about the specific characteristics of the program, it would also enable the academic staff involved in the selection process to run the process more efficiently and transparently.

As a result, based on the findings of the diagnostic study, two main interventions were developed and implemented. Within the framework of the first intervention, the selection criteria and their evaluation rubrics were harmonized, which entailed the elimination of ambiguity when it comes to the defining the criteria and developing their shared understanding. As part of the second intervention, special handbook (both written and visual) were developed for students, which would provide them with clear and detailed information about the selection process, objectives and the key components of the program.

Keywords: selection process; selection criteria; holistic selection model; rubrics; handbook for students.